


ლიტერატურული გაზეთი

ქვეყნული
ბიბლიოთეკა



1935 იანვარი 30

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო

შანი 50 კაპ. № 5 (97)

ხარაბუჯა ლინერალს *)

ა კ ა კ ი

(გამოუქვეყნებელი ლექსი)

იარანალო ხარაბუჯა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
დაგიკარგავს შენი მუხა,
ბზზუუ!.. ბზზუუ! ბუხა! ბუხა!...

სამასხარო მოედანზედ
გამოსულხარ, დგებარ განზედ,
სქდეტი კანზედ, მღერ საგანზედ,
შენგან უტნობ ანაბანზედ,—
რომ არ არის ეს შენი გზა...
ვაი, ჩვენო ხარაბუხა!
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
გაგფრენია შენი მუხა,
ბზზუუ!.. ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

რას აკეთებ? გიკვირს განა,
რომ შეამეკე ლოპიანა?
ჩვენ არ მოგვწონს შენისთანა,
ენა წმინდა, გულ-სატანა.
ორპირობამ გაგატუხა?...
უნდა შეგრცხვეს ხარაბუხა!
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
რათ გაჰკიცხე შენი მუხა?
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

ჩვენთან ტკბილო, ვით შექარო,
ტკბილ ლექსების ფეიქარო,
აქაც ხარო, იქაც ხარო,
გულ ფუტურო და თავ-ქარო!
ირხვევი ვით დამკენარი ბზა.
იარანალ ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
ძაძას იცვამს შენი მუხა,
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

პოლიტიკა სპარსეთისა
გისწავლია, გიკვირს ისა,
სხვადაც მიტომ შეგითვისა,
ჩუზად გიტენია ქისა,
თვით მოლა ხარ, ალი მურხა,
საცოდანო, ხარა-ბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
ალარა გყავს შენი მუხა,
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა.

ვაჟაკობა არც შენ გიყვარს
ვერ აიღებ, ვგონებ, შენც ყარს,
სიტყვით სამსონს, საქმით საპყარს
ამ ბოლოს დროს სიტყვაც გიყარს,
მაგრამ ჩვენ გვაქვს შენთვის ის მზა,
იარანალო, ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
რათ დაჰკარგე შენი მუხა?
ბზზუუ!.. ბზზუუ!.. ბუხა! ბუხა.

გატყობთ მიბრძანდები ქაბას,
მიტომ იცვამ სპარსულ კაბას,
იქ დერვიშებს ეტყვი ქებას,

რომ მით კული გამოგებას!
მიგიგნია ახლა კი გზა!
ბარაქალა, ხარაბუხა!
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
დაგიკარგავს შენი მუხა!
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

სადაც შრომობს რიონელი,
შენ ხომ იქ არა გაქვს ხელი,
შენებრ ძველი, ქეუა-თხელი,
დიდუყრაძეს ვახელი
და გვერდს დაუყენე გრუხა...
ასე, ჩემო ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
რად დაჰკარგე შენი მუხა?
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

სადაც იყოს გოგიტელა,
იმას ენაცვალოს ყველა,
შენისთანა ენა-პრტყელა,
უსარგებლო, ბელა-ბელა...
ფეხის მტვერი ხარ... კარტუხა
მოგიხდება, ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
დაიკარგა შენი მუხა!
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

იმ ლიბერალს, ბურთივით მრგვალს,
რად უბრაწვე მრისხანედ თვალს,
ის გიხდისთ ვალს და თქვენსა კვალს,
არ აღირსებს თავის ნავალს;
თქვენებრ ვერსად წაიკუხა,
იარანალო ხარაბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა!
ალარა გყავს შენი მუხა!
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

ნოვგოროდის ლიბერალო,
ლოპიანას მომღერალო.
სავათნოვას ეშხით მთერალო,
აქ კი უნდა შეგიბრალო,
რომ არ გაგხადო ანდახა,
შე საბრალო ხარა-ბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
რად დაჰკარგე შენი მუხა,
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!

რადგან ერთ დროს იყავ კაცი,
გულმტკიცე და გულმამაცი,
აკაკია არას გადრებეს,
ბაკაკიამ გითხრას „აცი!“
რომ მოსძებნო ისეც ბუხა...
იარანალ, ხარ-ბუხა,
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,
დაიბრუნე შენი მუხა,
ბზზუუ! ბზზუუ! ბუხა! ბუხა!



ესკიზი აკაკის პორტრეტისათვის მხატვ. ხ. კეცხოველისა

კ უ ი ბ ი შ ე ვ ი

საკ. კაპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უდიდესი მწუხარებით აუწყებს პარტიას, მუშათა კლასს, ჩვენი ქვეყნისა და მთელ მსოფლიოს ყველა მშრომელს, რომ 25 იანვარს 1935 წ. 14 საათსა და 30 წუთზე გულის სკლეროზით გარდაიცვალა საკ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს და ცენტრალურ კომიტეტის წევრი, საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საკ. სახკომსაბჭოთა არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან ვლადიმერის ძე კუიბიშვილი.

კუიბიშვილი გარდაიცვალა მეტროპოლიტზე დიდ სახელმწიფოებრივ და პარტიულ დამაბულ მუშაობაში, რომელსაც თავის სიცოცხლის უკანასკნელ მომენტამდე განაგრძობდა. ამხ. კუიბიშვილი პროლეტარული რევოლუციონერის, თანამიმდევარი ლენინელის, პარტიისა და მუშათა კლასის მტრებისადმი შეურიგებელი მეტროპოლის, კომუნისმის საქმისათვის თავდადებული მაგალითის წარმოდგენდა.

მისი რევოლუციური მოღვაწეობა იწყება რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდთან. თავის მეტროპოლიტულ მუშაობის წლებში ამხ. კუიბიშვილმა გაიარა მეფის ციხეები და გადასახლებები, როგორც ლენინის პარტიის თავდადებულმა მეტროპოლიტმა. სამოქალაქო ომის წლებში ამხ. კუიბიშვილი არის წითელი არმიის ერთერთი გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელი. უდიდესი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და სამეურ. მშენებლობისა. ამხ. კუიბიშვილი მთელ თავის ძალღონეს სოციალიზმის საქმეს სწირავდა. ვ. ვ. კუიბიშვილის უსაზღვრო ერთგულება პარტიისადმი, თავდავიწყებულ, დაუღალავი მუშაობა მშრომელთა კეთილდღეობისათვის მაგალითად დარჩება მილიონ პროლეტარებსა და მშრომელთ მათ დიად ბრძოლაში კომუნისმის გამარჯვებისათვის.

საკ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი



*) „თათბათა ბრძოლა“ XIX საუკუნეში ჯერ კიდევ არ არის სათანოდოდ შესწავლილი. უბირველეს ყოვლისა საჭიროა მასალების შეკრება და გამოუმუშავება უტყუარ კომენტარებით.

ჩვენ ვიცით, რომ ვგრედწოდებულ „მამებისა და შვილების“ პოეტურ პოლემიკაში მონაწილეობდნენ ნინო ორბელიანიც, აკაკიც და სხვ. გრიგოლ ორბელიანს თავის მომხრეები ჰყავდა, ილიას კიდევ თავისი. ნინო ორბელიანის „პასუხის პასუხის პასუხი“, ილიას თათბათა წინააღმდეგა მიმართული; აკაკი წერეთელი კი ილიას გამოეპომაგა.

ჩვენ ამჟამად ვაქვეყნებთ აკაკის ლექსს... ამ ლექსის ავტორად არსებობს და სხვადასხვა პირების მიერ გადაწერილ დათრებშიც იხსენიება... აქ იბეჭდება ისე, როგორც ჩვენ გავიგონია (კვლად ერისთავი, ს. მერკვილაძე, ვ. გუნია).

ჩვენ გვქონდა პატარა ნარკვევი, ამ სათაურით: „აკაკის და ილიას ურთიერთობა“. ეს ლექსი ამ ნაშრომს წავართვი; გვინდოდა კი მთლიანად წავგვეკითხა „ელზაში“ და შემდეგ დაგვებეჭდა. მაგრამ ჩვენს რედაქტორს პაექრობა არ შეგვეწინა. მას მასალების მიწოდების დროს, მხოლოდ სამი სიტყვა აკერია პირზე: „ჩქარა!“, „მოკლე!“ „საინტერესოდ!“

ჩქარა რომ მივაწოდე ეს ფაქტია, მოკლე დ რომ გავაკეთე შენიშვნა ამასაც ყველა ჰხედავს, მაგრამ იმას კი ვერ ვიტყვი საინტერესოა თუ არა ამ ლექსის პუბლიკაცია ასე, ამ სახით, უკომენტაროდ... გ.

კაბა გუგუზილი

ჩემს სიკაცულში, ცხადად თუ სიხ- მრად, ერთი რამ მაფრობდა ყველაზე მეტად და საფლავშიც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე, ვინც მომსწრე არ არის და არ გამოუცდია, იმას მართო გავიგებთ წარმოდგენაც არ შეუძლია იმისი, თუ რა იყო წინად ის საოცარი ცენზურა, — წერდა აკაკი წერეთელი 1908 წ. წინასწარი ცენ- ზურის გაუქმების შემდეგ, თავის მოგო- ნებაში ცენზურის შესახებ.

მეფის ცენზურა, რომელიც ფხიველ დარაჯად უდგა „საზოგადოებრივ მშვი- დობიანობასა და წესრიგს“, ე. ი. ბურ- ჟუაზიულ სახელმწიფოს და ექსპლოატა- ციას, განსაკუთრებით მკაცრი იყო „ნი- როდების“ ლიტერატურის მიმართ, სა- დაც კლასობრივ ანტიგონიზმთან ერთად თავს იჩენდა ნაციონალურ-კოლონიალ- რი გამოძახილიც.

აკაკიმ იმ თავითვე მიიპყრო ცენზურის ყურადღება, როგორც რადიკალურად მოაზროვნე და პოპულარულ ადამიანმა.

ცენზურულ პირობებს ისიც ართუ- ლებდა, რომ ხშირად ცენზორმა ქართუ- ლი არც კი იცოდა ხერხიანად. აი ერთ- ერთი კურონი, რომელიც ამ ნიდაზე მოხდა: აკაკის საცენზურო კომიტეტში ნებართვის მისაღებად წარდგენილი ჰქონ- და პოემა; „მეორე დღეს, — წერს თეი- თონ აკაკი, — დამიბარა ცენზორმა კო- მიტეტში და დამტკიცა:

— რა დაგიწერია ეს? არა გრცხვენია? — მანდ სა... ცხვირ არა არის რა! — მა, ეს რა არის? — მიმითითა ერთს ტაეზზე — წაიკითხე! წაიკითხე: „და გარ- ყვნილი დედოფალიც გამოვიდა საბრ- ლოზედ“.

— აქ არა არის რა! — უკანასკნელი სიტყვა! უკანასკნე- ლი — ლოიალებდა ცენზორი.

— საბრლო წარმოდგება სიტყვისა- გან ბრტობა და ნიშნავს მსჯავრის დადე- ბას... გასამართლებას.

— შე დალოცვილო, — მიტხრა ხმა დაშვებით, — ამ ძველ სიტყვებს რას ეტა- ნები! ვინმარდი სულს და ის იქნებო- და, ყველაზე გაიგებდა! გაჭკრა კალამი და გადასწორა ეს „სუღად“.

სამოციან წლებში ქართულ ენის ცენ- ზორ კაიტმაზოვის შესახებ აკაკი წერს, რომ ის იყო „აუტანელი მშე- შარა, ფრთხალი და სასტიკი მით უფ- რო, რომ ქართული საცენზუროდ არ იცოდა“. უკანასკნელი გარემოებით და თანაც ცენზორის გაუნათლებლობით სარგებლობდენ ჩვენი მწერლები, რათა ცენზურის თვალსაზრისით მიუღებელი

*) ამოღებულია ჯერ დაუმთავრებელი ქარ- თული უფრალისტიკის ისუოთისის II ტო- მიდან.

აზრები გაეპარებინათ, ე. ი. დაებეჭდოთ. ამ საქმეში ძალიან გამოცდილი იყო აკა- კი. მაგრამ წერს იგი, ყველაზე უფ- რო საშიში დ. ბაქრაძე იყო, ჩვენი ისტორიკოსი. მან ქართული კარგად იცოდა, ვერას ვაპარებდა კაცი. საო- ცარი ფრთხალი იყო. ხშირად, რომ წაი- კითხავდა ხოლმე ჩემს ნაწერს და ვერას ნახავდა საშიშს, მევე დამეკითხებოდა ხოლმე: თუ ძმა ხარ მითხარი: დაფარუ- ლი, საორტოეო ხომ არა არის რა აქაო?“. საშინლად სძულდა ცენზორი და ცენ- ზორს ეძახდა ყველას ვინც სძულდა, აკაკი „გრძნობა - გონების პალას“ უწო- დებდა ცენზორს და გახარებული იყო, რომ მის მიერვე წამოყენებულ კანდი- დატმა ალ. სარაჯიშვილმა სასტი- კად გალანძღა დიმი. ფურცელაძე (საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე), როცა უკანასკნელმა წინადადება მისცა ქართული ენის ცენზორად დამდგარიყო.

1881 წ. 1 მარტს მოკლულ იქნა იმპერატორი, ხოლო 3-ს დაიბეჭდა აკა- კის ლექსი: „დღეს მერცხალი შემო- ფრინდა“. ცენზურამ საქმე მეტად გა- აზვიადა და ავტორს ბრალი დასდეს, რომ ის გახარებული იმპერატორის სიკვდილით, შედეგი: კინალამ ციმბირში ამოაყოფინეს თავი.

1882 წ. აკაკიმ ითხოვა ნებართვა ყოველკვირულ გაზეთ „გზის“ გამოცე- მისა, მაგრამ კავკასიის სამოქალაქო ნა- წილის მთავარმართებელმა, „მიიღო რა მხედველობაში აკ. წერეთლის ლი- ტერატურული მოღვაწეობა გაზ. „შრო- მაში“ (ქუთაისი), რომელიც მთავრო- ბის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, არ სცნო მიზანშეწონილად, რომ მისთ- ვის „გზის“ გამოცემის ნებართვა მიეცა“ — ატყობინებენ აკაკის საცენზურო კომი- ტეტიდან.

1890 წ. 27 მარტს „თეატრს“ აუქ- რძალეს აკაკის ლექსი „მღვდელი და ექიმი“, რომელშიაც ცენზორს განსაკუთ- რებით ვერ მოეხელება, როგორც ლეთის მოაძღვრე შემდეგი სტრიქონები: „მღვდელმა უბრძანა დიკანს: ხომ ხედავ ღმერთი სწურებაო. არც ქორწილია არც ნათვლა და არც არავინ კვდებაო. ცოლები სხვის ქმრებს მისდევენ ვინდა დაიწერს ჯგერასაო?!“

1899 წ. აკაკის აუქრძალეს რო- გორც „ტენდენციური“ „ჩვენებური მანასეობა“, რაც აწყობილი იყო აკაკისავე „კრებულში“ დასაბეჭდათ. 1904 წ. აკაკის ლექსი „ჩინეთი და იაპონია“, რომელიც გაზ. „ივერიაში“ უნდა და- ბეჭდილიყო (9/VI-ნომერში) აკრძალა ცენზორმა შემდეგი აზრებისა გამო, რომელიც ნათქვამია ჩინეთის მიმართ: „თავდასუსტობა მანდარინობა ძალმომრეობა რჯული ზგონია და ხალხიც, რომ არ მიყვს მის სურვილს მეტი რა გზა აქვს? — რადა ღონეა? აიკრძალა: В виду тенденции ных намеков на текущие события“, რო- გორც ამბობს თვით ცენზორი.



კულაქური ტერორი 1931 წ. ნახატი ლ. გუდიაშვილისა

1905 წ. აკაკიმ ითხოვა ნებართვა იუმორისტულ ჟურ. „ხუმარას“ გამო- ცემისა და საქმე ისე გაუჭირეს, რომ მხოლოდ იმავე წელს 25 ნოემბერს მი- იღო აღნიშნული გამოცემის ნებართვა.

1906 წ. იმ ხანებში განვითარებულ გრანდიოზულ რევოლუციურ მოძრა- იობას აკაკი, სხუთთაგანთან ერთად, სხაურა, რომ ქართულად თარგმნა „ინტერნაციონალი“, რომელიც „პატარა გაზეთს“ უნდა დაებეჭდა თავის პიოველ ნომერში, მაგრამ ცენზურამ აკრძალა, ხოლო „ავტორის“ წინააღმდეგ „საჭი- როა აღძრულ იქნას სსსხლის სამართ- ლის ძიებაო“ — ფიქრობდა ცენზურა.

1913 წ. ქუთაისში დაიბეჭდა აკაკის ნაწერების მეორე ტომი, მაგრამ სხანამ წიგნი სტამბის კარებს გასცილდებოდა,

პოლიციამ გასინჯა და შიგ აღმოაჩინა მეტისმეტად „შოვინისტური და პატრიო- ტული“ პოემა „კორონაციო“. უკვე დაბეჭდილი წიგნიდან პოლიციის გან- კარგულებით მთელი პოემა ამოგლიჯეს, ხოლო ავტორს ამოჭრილი ადგილი სხვა ლექსებით შეავსებინეს. ეს პოემა დღემდე

ასეთი იყო აკაკის და მეფის ცენზუ- რის ურთიერთ დამოკიდებულება, რო- მელსაც თვითონ მეფისანი ერთ ცენზუ- რის მიერ ავრძალულ ლექსში შემდეგ- ნაირად გამოხატავს:

„აკაკივინე აკია-ბაკია, მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერო, თორემ გამოხრავს შენს ჩანგს ვით ჭია ჭკუის მტრავალი — ტენემისტერი“.

ს. კ. კ. ი. შერეთელი

დ. რაჭველიშვილი

აკაკი წერეთელი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის კრიტიკუ- ლად შესწავლილი. ეს ოლიმპური შეხედულო- ბის ბრგე მოხუცი, სიციცხლეშიაც თითქმის მად- ლიან, როგორც ახლა მისი ქანდაკება რუსთა- ველის პრისბეტზე, დაჰყურებდა ღმერთებისა და ადამიანების მიუხედავად დიდი სიმართვისა და გენიალობის დაყვანილი სისადავისა, აკაკი თანამედროვეთათვისაც გამოუცნობი დარჩა. მისი ბოქმური ცხოვრება „დარბაისლებს“ ხელჩაქნევით აღაპარაკებდა მასზე, ხოლო „გან- სწავლულ“ ხალხს აფიქრებდა მისი „სიმსუბუქე“. ბევრს უყვირდა, რომ აკაკი ხშირად, ძალიან ხშირად იყო ხოლმე „გარემოების საყვირი“, ლაპარაკობდა თავის პენსიაზე, აქტიურობდა, რეჟისორობდა, გულუბრყვილო აზრებს გამო- თქვამდა ნანკეტებზე და სავსებით სამართლიანად მიმმართავდა თანამედროვეებს:

— თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარ, — სხვეს რომ მგონიათ, არც ისა! — შუააკი ვარ, უბრალო, — ხან მიწისა ვარ, ხან ცისა მაგრამ განა აკაკის არ შეუძლია იგივე სიტ- ყვები ახლანდელ კრიტიკასაც უძღვნას? ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ კლასიკოსებისაგან სწავ- ლაზე, მაგრამ მათი კრიტიკულად შესწავლისა- თვის ნაკლებს ვაკეთებთ. კერძოდ აკაკის მი- მართ უმოავრებსა და სოციოლოგიურ მეთოდს იმარჯვებენ: ფეოდალური საქართველოს პატ- რიოტი იყო, დემოკრატიული განხრა ჰქონდა, „ინტერნაციონალიზმ“ მთარგმნელი და სხვა. მაგ- რამ აკაკის ან ილიასაგან თანამედროვე მწერლებმა განა იდეოლოგიური ზავით უნდა ისხნოს? ახლანდელმა მათგან ისტატობა უნდა ისწავლონ და ჩვენებურ კრიტიკოსებს

სწორედ ამაზე არა უთქვამთ რა. რასაკვირვე- ლია, შეუძლებელია ფორმა შინაარსს დაეშო- რათ, მაგრამ არც ისაა შესაწყნარებელი, რომ შინაარსს ფორმა შეეკუთვნებოდ და ორივე მქულე დარჩეს, ფარაონის ცნობილი ძროხებივით!

თანამედროვე კრიტიკოსებმა და მეცნიერულ- მა ძალეებმა უნდა იმუშაონ და გარკვეონ შემ- დეგი მორითაი საკითხები მანც: აკაკის ლექ- სიკა და საერთოდ პოეტიკა, აკაკის პროზა, აკა- კი, როგორც პუბლიცისტ-ჟურნალისტი, დრამა- ტურგ რეჟისორი და სხვა.

ამ წერილში მე ვაკვირებ შევებები აკაკის პროზა და მის უფრალისტებს. ლიტერატურასა და საზოგადოებაში დიდი ხანი ფენომოლოგიულია აზრი: აკაკი დიდი პო- ეტიკა, მაგრამ დიდი უმოავრებსა და თვისი ნარ- ნარი ლექსებით, მკვირცხლი ლირიკითაო. სულ რბილად რომ ვთქვათ, ეს აზრი ან გაუგებრო- ბის ბრალია, ან დაუკვირვებლობისა. კათეგო- რიულად შეიძლება თქვას, რომ აკაკის პროზა არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა რომელიმე კლასიკოსის პროზას. მისი სატყვა ლაქონიკუ- რია და ექსპრესიულობა, თხრობა და მოქმედება სწრაფი და, როგორც ერთხელ თქვა, კინემა- ტოგრაფიული აქვს. ამ მხრივ აკაკი უფველად ენათესავება პუშკინს. აიღეთ ამ უკანასკნელის საუკეთესო მოთხრობა „Капитанская дочка“ და მერე გაისინეთ აკაკის ერიდება პეიზაჟებს, დიალოგი მოკლე და მძაფრი, მოქმედებაც სწრა- ვი, მთავრადწერილი და მკვირცხლი მხატვრულად კანონ- შეგომილი აქვს, რაცც მკითხველს მუდამ დაძა- ბულად ამოუფებს. აკაკი გაურბის ოქრომკედის ქსოვას და გაბედული ხელით რადაც თითქმის დაუდევარ და ფართო ხაზებს უხვამს. შეხედავ და ამ ხაზებში ამოძრავდება, თვალებს გიშტე- რებს, მოქმედებას იწყებს ცოცხალი პიროვნება და ისტორიული სინამდვილე. გაისინეთ ბაზი- ანუკის ბრძოლა არაგვთან, შესანიშნავი სურათი

ტილობისა და სხვა. ექსპრესია და სიტყვადაწუ- რულობა იშვიათად თუ წავა ამაზე შორს. აკაკი აქ ისე ელვარებს, როგორც მისივე გმირი ბაზი- ანუკი.

აკაკის სტილის ლაქონიკურობის და ექსპრე- სიის დახასიათებლად მოვიყვან ერთ პატარა ამონაწერს. ვახტანგ IV (შაჰნავაზი) იმერეთს ეწ- ვევა და იქ აბაშიძე და წერეთლები „ყვენი- სთვის საჩუქრად“ მის ლამაზ ქალებს, სხვათა შო- რის ბაზი-ანუკის ორ დას უძღვნიათ. მეფე ადრე წამოვა და დაიბარეს — ქალები მალე გამო- გზავნეთო.

მისი ნება ასრულდა, მაგრამ შიგ შუაგულ ქართლში ერთი უცნაური და უჩვეულო რამ მოხდა: მეფის ბარჯს დაესხნენ თავზე ავაზაკები მოულოდნელად და თორმეტივე ქალი მოიტა- ცეს: ნოთულობისთვის კი ხელი არ უხუიათ, მეფე ვახტანგს რომ მოხსენდა ეს თავხედობა, გარისხდა, ბრძანა გზების გაკერა, მთელი სამე- ფო შესძრა, იმერეთშიც ბევრი ეძებეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ვერა გაიგეს რა. ხალხ- ში კი ჩუმად ლამაზაკობდენ აკა-იქ: ეს ბი- შობა კახეთში რომ გამოჩენილი ბაზი-ანუკია, მისი საქმე უნდა იყოსო“ და სხვა.

აქ და ბევრ სხვაგანაც აკაკის სტილი და მისი თხრობის მანერა და გმირების მოქმედება უახ- ლოდვედა ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდე- ბის დაწურულდას. შემოსხსენებულ რამდენიმე სტიქონში მოცემულია მთელი სუფთი ცალკე მოთხრობისა. ჭეშმარიტად, ერთმართი პრ- ზაიკოსი, რომელიც შემვიძლია გვირდ- ში ამოვუყვანეთ „სიბრძნე-სიკრძინ“ გენიალურ ავტორს — მს არის აკაკი წერი- თელი.

ფრად საინტერესოა აგრეთვე აკაკის დაზა- სიათება, როგორც უფრალისტიკისა. ეს ძალიან დიდი თემაა, რადგან აკაკი მთელი ნახევარი- მეტი იყო ქართულ უფრალ-გაზეთებისა თითო- ნაც გამოსცემდა „კრებულს“ და ჩვენ განზრახვა გვაქვს აკაკის, როგორც უფრალისტს, ცალკე ნარკვევი ვუძღვნათ. ახლა კი ვიტყვით, რომ ეს ოლიმპელის გარეგნობის ადამიანი ძალიან ხში- რად იყო ხოლმე საყვირი „მიწისა“, მისი ცოც- ხალი ტემპერამენტის, შხამიანი ენისა თუ კალ-

მის ნაკლები დიდხანს აწუხებდა, ხანდახან სამუდამო დაღად აჩნდა „საქვემო საქმის“ „მტერსა და ორგულს“. აკაკის იმდენად უშვარდა გაზეთის საძმე, რომ თავისი საუკეთესო ლექსები ხშირად „ცხელ- ცხელ ამბავში“ (ს. მისხის „დროება“) აძვს მოთავსებულ დიდიურ ბირვარამ- თან დაკავშირებით („აღმართ-აღმართ“ და სხვა ლექსები). 70-იან წლების „დროება“ ხავ- სევა აკაკის მკვირცხლი დღიური ნაწერებით და თითქმის ყოველ ნომერში გვევლინება იგი სხვა- დასხვა ფხედლონიით; ლეონ დადიანად, გიორ- გი ქართველიშვილად, ჩხოხნად და ა. შ. „დროებაში“ ქრონიკასაც კვალციფიური ლი- ტერატურები წერდენ. თითონ აკაკი ხშირად ხელსაც კი აწერდა ქრონიკას.

ს. მისხმა „დროების“ კვირაში სამჯერ გამო- ცემა რომ გადაწყვიტა უსმოგრესად აკაკის იმე- დი ჰქონდა. 1875-წ. ს. მისხი თავის მეუღლის კეკელსამი წერილში აკაკიზე სრულიად სამარ- თლიანად ამბობდა: „უმისოდ, შენც კარვად მიხ- ვდები, ძალიან გაკორდება საქმე. თამამად შემე- ძლია ვთქვა, რომ ყველა ახლანდელ ჩვენს მწერ- ლებში აკაკი უმჯობესე უფრო ნიშნირა და უკვლავი უფრო გამოსაღებია გა- ზეთისთვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარ- ჯვე, მკვირცხალი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არც ერთ ჩვენ მწერალს არა აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და საზოგადოდ ჩვენი ახლანდელი ლიტერატუ- რისთვის“-ო და ა. შ.



სიმონ ჩიკოვანი

შემოდგომა, ბუნებამ ძვენი
გაიღო როგორც ცა მოყვითალო.
ფერავს მტვერნი, გიშრის ყურძენი
ღვინოს, ბადავს და

მხოვტ მიდამოს.

ამბობს ნიავი ფოთლებში ნანას
და ღამჯღარ ძნებას შეურყევს ფუძეს.
ფერად-ფერადი კვანძები წვანან
და გედებვით იშვებენ ყუნწებს.
დაშვიფებულია ბუნება სრულად,
გაუღვინა მწვანე ნაღველი.
კაკლის ხეები ფიქრში შესულან
და ასწლოვანი თვლებს საწნახელი.
მოლურჯო ქედზე ნისლი ქებული
ჩამოწვება და აავსებს თასებს.
შეყვითლებული, შეწითლებული
გაიღვინებენ ბუჩქები მთაზე.
მზე გაიშლება როგორც მოთხრობა
და გამოყვება ღრუბლის ნაღები,
ჩაგვიღის ზენით შენ შემოდგომა
ჭიჭრით, ურმებით და ვენახებით,
ალბათ გინახავს: ამგვარ საწუთროს
ამკობს ქალი და ამშვენებს ეზოს.
ამგვარ საწუთროს, ქალმა რა უთხრას
და საოჯახოდ შეარჩევს თქვოს.
გავარდნილ მოტორს

თვალეებს ადევნებს

და თეთრ-კბილბა მოხიბლავს ყმაწვილს.
აავლებს ქარი ხეთა შადრევნებს
და ფართო-ფართო ფოთლები გვაწვიმს.
ჩვენ მივჭრით წინ და ალაზანივით
მომდინარეობს კახეთი მსუყე.
ბუნება სულში შემოგვავინილი
დგას და დადესტნის

გუმბათებს უყვებს.

მზე მოგზაური ასაკში შედის
და ებჯინება სხივებს-ყავარჯენს.
ფოთლებს ბედი და ქალის მტრედი
აფრინდებიან კიდევ მრავალჯერ.
გადაღვრილია ზაფრანის ფერი,
შემოდგომა, სულა, აშკარად
აწკრივდება ბარში ჰაერი
მთაში შრიალებს

ღრუბლის თაშქარი.

ნელი-ნელი ისმის ზარების ვლერა,
ალბათ ბრუნდება შეცხვარის ნადი.
და დაჟილბებს ეზოებს ძერა—
მტაცებლობის და ფრენის ოსტატი.
მაგრამ მოტორი გაჰკვივის ცალკე
ხმას ჩაუმატებს ავსებულ ეზოს
და ქალიც გზიდან აივინსაკენ
მუხამაზივით წაიღებს თქვოს.

„ლიტვანთა შრომის“ გარეგანება

თელავის პედაგოგიურმა ტექნიკუმმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა გაზეთის საპოპულარიზაციოდ, მის გასაავრცელებლად. ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. გიორგი მელითაური ყველა კურსზე თვითონ ატარებდა საუბრებს ლიტვანთა შრომის მნიშვნელობაზე. მანვე ყველა კურსის მოწაფეებს დაავალა, რომ გადაეკითხათ „ლიტვანთა შრომის“ ოქტომბერ-ნოემბრის ნომრები საჯარო გარეგანებაში მონაწილეობის მისაღებად. გაზეთის ორი თვის კომპლექტის გადაკითხვა უნდა მოთავსებულიყო ორი კვირის განმავლობაში.

დეკემბრის 13 რიცხვში პედაგოგიკუმის მსმენელთა საერთო კრებაზე მოხდა აღნიშნული ნომრების გარეგანება, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელმა ლევან ძეძაძემ და მსმენელებიდან: ლაგაზიძემ, ითიურიძემ (თუშეთი), ყარაულაშვილმა ივანემ, ყარაულაშვილმა

ანომ, გოგიაშვილმა, იორდანი-შვილმა და სხვებმა.

კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ გაზეთი ორდღიანი ერთხელ გამოდგოდეს. ამხანაგები, ამას გარდა, გადაწყვიტეს აღნიშნული ნომრებში ნოველებსა და სხვათა წერილებისაგან მიღებული შთაბეჭდილებებს. ამასთან ერთად ამხანაგები მოითხოვნენ, რომ გაზეთში დათმობილი ჰქონდეს განყოფილება კლასიკოსების და საერთოდ ჩვენი მწერლების შემოქმედების მარქსისტულ კრიტიკას.

თუ „ლიტვანთა შრომის“ გარეგანება 10 მსმენელი იწერდა მას, ღღეს თელავის პედაგოგიკუმში ხელისმწიფებით ვრცელდება 86 ცალი.

ამ არდადეგებზე პედაგოგიკუმის მსმენელებს დაევალია, რომ სოფლად კოლმეურნეობებში და სკოლებში ჩაატარონ მუშაობა „ლიტვანთა შრომის“ მნიშვნელობისა და მისი გავრცელების ირგვლივ.

არჩილ კოკილაშვილი

(თელავის რაიონული გაზეთის რედაქტორი)

არც ერთი აქტივისტი—

„ლიტერატურული გაზეთის“ გარეგანება

ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექსპლუატორმა ორგანომ „ლიტერატურული გაზეთი“ სხვა რაიონებთან ერთად, ჩვენს რაიონშიც დიდი ყურადღება მიიპყრო. გარდაიქმნა რა გაზეთის მუშაობა, მისი ფურცლები მეტად დამაინტერესებელი გახდა მკითხველთა ფართე ჯგუფებისათვის. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თუ გაზეთის გავრცელება რაიონში (წარსულ თვეებში) არ აღემატებოდა 20—30 ცალს, დეკემბრის თვეში გავრცელებული იქნა 250 ცალი.

გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი მთელ რიგ სოფლების განკავშირების ადგილობრივი მიერ მასწავლებლებში, მოსწავლეებში და კოლმეურნეობებში 1-ლი ინფორმაციის „ლიტვანთა შრომის“ გასაავრცელებლად. ამ მხრივ სამაგალითოა ქვ. მაჩხანის, ვაქიანის და ბოდბისხევის განკავშირების ადგილობრივი მუშაობა.

ჯერ-ჯერობით ამ საქმეში ჩამორჩენილი არიან ანაგის, მირზანის, ზემო მაჩხანის და არბოშის განკავშირების

ადგილობრივი, რასაც რაიონკავშირმა და განათლების განყოფილებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

„ლიტვანთა შრომის“ გავრცელებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღება აქვს მიქცეული „ლიტვანთა შრომის“ მკითხველთა აქტივისტების ჯგუფების ორგანიზაციის საქმეს. ნოემბრის 1-ლი რიცხვებში სიღნაღის პედაგოგიურმა ტექნიკუმმა, ენის და ლიტერატურის მასწავლებელ ამხ. ა. გვენცაძის ინიციატივით ჩამოაყალიბა „ლიტვანთა შრომის“ მკითხველთა წრე, სადაც კოლექტიურად, ყოველ 12 დღეში, ირჩევა „ლიტერატურული გაზეთი“-ს ახალი ნომრები. ასეთსავე სახის წრე ჩამოაყალიბებული იქნა სიღნაღის სტამბის მუშა-ახალგაზრდებთან, სადაც ჩატარებულია უკვე ერთი მეცადინეობა.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თათბირული სოფლის აქტივი კითხვობ-დღეს „ლიტვანთა შრომის“, ამას კი მივალწვეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც „ლიტვანთა შრომის“ ირგვლივ ფართედ შემოვიკრებთ მკითხველთა აქტივისტებს, მოვაწყობთ მნიშვნელოვან წერილების კოლექტიურ განხილვას და სხვ. ს. ჯაჯარაშვილი

(გაზეთი „შეტევა“)

ჭიმი ზღვისადმი

სარიტონ ვარდოშვილი

ტალღებს რომ არხევი
და შრიალი გაისმის ნილო-
ლურჯი სარკე ხარ-
საოცნებო, ლეგენდარული.
მოსიყვარულე გულით შენთან
ისევ მოველი—
რომ შენს მახლობლად ვპოვო შევბა
და სიხარული!

დიდინანია გატაცებით
ჩემს სულს ათრთოლებ,
სსოვნაში ღრმად მაქვს აღბეჭდილი
სიმღერა შენი,
როცა ვითვლიდი შენს კალთებზე
ზვირთების ბროლებს
და შენთან ერთად ვენთებოდი
მეც აღმაფრენით!

როცა გრივადი ფრთებს დაგარტყამს
მოქარავანე
ცოფმორეული მრისხანებით
აგუგუნდები!
მღელვარებისა და სიმშვიდის
დილო სავანე
შენს სიღრმეებში დასცურავენ
იაგუნდები!

ეს სულეობა იავარად
მოხეტიალე,
ზოგია სატრფო, ზოგიც გმირი
შეუღრეკელი,
ულმობელად რომ უღალატე
გაბატოლე
და კუბოდ მიეც შენი სიღრმე
განუშვებულ!

და როცა ღელავ—ეს გმირების
ბორცვა სულის,
და როცა მღერი—ეგ ქალწულთა
ხმა ნარნარი!
მათ გულის ბოდმას ვეღარ იტევს
შენი უფსკრული
და ზეცას სწვდება მოგუგუნე
ხათქი და ზარი!

დასერილია შენი მკერდი
ცეცხლის ალებით,
შენს სივრცეებში გრივადი
მოქარავანე,
ზღვაო, აღსავსე ჯადოსნური
იღუმალებით,
ხარ მღელვარების და სიმშვიდის
დიდი სავანე!

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმნის გამო

სვიმონ ჯანაშია

გაზ. Кавказ-ში, 1846 წ. № 27-ში, მოთავსებულია დ. ჩ-ს წერილი (იქნებ დ. ჩუბინაშვილია, ქართ. სიტყვიერებისა და სიძველეთა პროფესორი). ავტორი იწუნებს იმავე გაზეთის № 15-ში მოთავსებულს ევლახოვის ეულ თარგმანს შოთადან და ამბობს: ეს უხეირო ცდა რა საჭირო იყო, როცა ზუსტი და ფორმალურადაც სავსებით ღირსეული თარგმანი უკვე შარშან (ე. ი. 1845 წ.) იყო დაბეჭდილი გაზ. „Иллюстрация“-ში (№№ 6 და 7). სანიშნოდ დ. ჩ-ს მოაქვს ნაწყვეტი ამ თარგმნიდან, რომლის ავტორად ბარდტინსკია დასახელებული და რომელიც ჰექსამეტრით არის შესრულებული. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ბარდტინსკის თანამშრომელი ამ საქმეში იყო დადიან-მინგრელსკი, რომლისადმი მიძღვნილი ლექსი, ბარდტინსკისა, აქვეა გამოქვეყნებული. ამ პოეტურ მიმართვაში ბარდტინსკი მოუწოდებს დადიანს, „პოეზიის მიერ ამხანაგს“, ხელჩაკიდებით გაიკვლიონ გზა საუკუნეთა ტევრებისაკენ და დავიწყების ბეჭედი ახსნან, იგულისხმება, შოთას საგანძურს.

ბარდტინსკის თარგმანის ნაწყვეტები გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე, თავის

ალტაცებულ შენიშვნებითურთ, მურავიოვის, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა 1847 წ. მურავიოვის ცნობითაც, ბარდტინსკის თანამოსაგრე ამ ლიტერატურულ ღვაწლში არის დადიანი, ძმა სამეგრელოს მთავრის დავითისა. სხვა ჩვენებებიდან, ცხადია, რომ ეს არის გრიგოლ პოეტი, „კოლხიდის“ ფსევდონიმით ცნობილი. მურავიოვი ზრდის დადიანის როლს: იგიო „გადასცემდა, მთარგმნელისათვის უცხო ენიდან, აზრებსა და სიტყვებს და გამკვალული მშობლიურ პოეზიით, ახერხებდა ამ უკანასკნელისათვის შესაფერისი გამოთქმების მოძებნას რუსულ ენაში“. მთელი გზის სიგრძეზე ტფილისიდან სამეგრელომდის გრიგოლი არის მურავიოვის მეგზური და ქართულ სიძველეთა ინტერპრეტატორი, და ამასთან ერთად მოუწყინებლად უკითხავს ჩრდილოელ სტუმარს რუსთაველის ლექსებს.

„კოლხიდის“ ნამდვილ როლს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ რუსულ თარგმანის მომზადების საქმეში ამ მწერლის ლიტერატურული ავტორიტეტიც ცხადყოფს: თავის დროზე იგი ქართულ ენისა და ძველი ქართული მწიგნობრობის საუკეთესო მკოდნედ ითვლება.

„ცისკრის“ რედაქცია სათანადო საკითხების გამო კონსულტაციისათვის სწორედ „ამ სასიქადულო კოლხიდელს“ მიმართავს. ნიკო დადიანის ზმაკიდურიც ამტკიცებს, რომ გრიგოლი „კარგი მკოდნეა ძველისა სამწიგნობრისა ენისა, ... მბრძოლი ქართულის ხდენისა“, დიდ „ავქსონთ, ბაძავს ალნაქსით“, მორიდი „გარდაცდენისა“-ო. ალტაცებით არის აღწერილი გრიგოლის ვაქცატურ-პოეტური ბუნება და ფართო განათლება მურავიოვის მიერაც.

მაგრამ კოლხიდელს შეიძლება არა მარტო მთავარი დამახსურება მიეკუთვნოს თარგმანის ფაქტიურ შესრულების თვალსაზრისით, — ჩვენ გვგონია, რომ ინიციატივაც ქართველ მწერლისაგან უნდა მომდინარეობდეს. უფრო სწორედ რომ ეთქვას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იდეა პირველად დავით დადიანის სახლში (ზუგდიდში) უნდა დაბადებულიყო.

უმდიდრესი წიგნთა და ხელნაწერთ-საცავი (შემდეგში — ძირითადი ფონდი წ. კ. საზ. ბიბლიოთეკისა), და, რაც მთავარია, მრავალი, ფართო ძველი ქართული განათლების მქონე პირნი აქ ერთგვარს მეცნიერულ ცენტრსა ქმნიან, რომლისთვისაც ჩვეულებრივია მსჯელობა ქართულ ენათმეცნიერებისა, ლიტერატურისა და არქეოლოგიის საკითხების შესახებ, და, ამასთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობა (მაგ., მეცნიერული თანამშრომლობა პეტერბურგელ მკვლევარებთან). აქ წარმოდგენილ მოსაზრებათა მიღებას არ თაკილობდა იმდროინდელ ქართველოლოგიის კოლონიც, აკად. მ. ბროსე. ამიტომ უსაფუძვლო არ უნდა გვეჩვენოს მოსაზრება,

რომ სწორედ ამ წრემ განიზრახა „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა რუსი საზოგადოებისათვის.

მაგრამ მოიპოვება პირდაპირი დამადასტურებელი ჩვენებაც. ერთ ხელნაწერში (ყოფ. წ. კ. № 3723) დატულია ამ წრის ერთერთი წარმომადგენლის, პოეტ იოანე გეგეჭკორის, ლექსი ალექსანდრე ჰავაგაძისადმი მიმართული. რადგანაც ლექსი დაბეჭდილი არ არის, აქვე ვაქვეყნებთ მას, ჩვენი მკითხველნი კარგეჭურით:

ხელგანებთა ნახლოვნი ღვრისა როგო

ძმისგან მომეცა:

ვარსკვლავ-ფუტკართა, ნათლისა მდენთა, შო-

თას ყვავილთა სურნელი ეცა.

სულს, გულს ზეცისა გოლისა წვეთი, დამატ-

ბობელი სწყურის, დაეცა,

ეწყით გრიალით ფრენა ჩემდამო, რათა

რუსთ მისგან გემო მიეცა.

სადაფის ლარნაკ შინა მდებარე ბრწყინვალედ

თვალნი სხვადასხვაგვარნი,

მანათობენი, შუქის მფრქვეველნი ანუ მთიებნი

ცისა მის მყარნი,

გამოხატულნი, გამოსახულნი, სიამოვნისა

ჩემისა დარნი,

მეტყვადენ: „აღსდევ და დაუტევე ჰაბუკობისა

თავისა ქარნი.

გვაჩვენე შენის მამა-დედისა, ძმისა, მეგობრის

საუნჯის თვალნი,

რუსთაველისა საკვირველისა ცხოველობისა

უკვდავნი წყაღისა!

კაცნი და ქალნი, სულნი და ძალნი, ტარეილისა

ეშისა აღნი!

მესმა, და აჰ! განისხნა ბეჭენი საუნჯის მისა

განსაკვირველნი;

რიყე ძვირფასთა ქვათა გათლილთა,

საუკუნენი რომელთ ჰყვა მცველნი;

მტელი შოთასი, ხენი ოქროსნი,

მარგალიტხმული ედემის ველი,—

სანატრელისა, ივერთა მზისა, მეფე თამარის

შესაქვეყნო!

გ ა მ რ ჩ ე ნ ი ლ ი

დ. ჯანელიძე

საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაკრული პიესა „ქორწილი იმერეთის თავადისა“ — კომედიკმნილი აწნაურის ოქროსი წერეთლის სახე და წარმოდგენილი თავის საკუთარ სოფელში 1-ს აპრილსა 1845-სა წელსა“ (სახტ.—საეთ. სახ-ბის ფ. № 232). ოქროსი წერეთელი ლიტერატურის ისტორიაში გამორჩენილი დრამატურგია, მისი, მრავალმხრივ საკუთრადღებო, პიესა ძვირფას მასალას გვაწვდის როგორც ლიტერატურის, ისე თეატრის ისტორიისათვის.

ოქ. წერეთლის კომედიის მოქმედი პირნი არიან:

გოგიტი — მდიდარი თავადი იმერეთისა. მარიკა — ცოლი გოგიტისა, ბერუკი — შვილი ამათი, დაჯი — ქალი ამათივე, ბარბაღე და ვასასა — რძლები მარიკისა, ფრონესა და პუბი — ნათესავი გოგიტისა, პატრიკი — ბაბუა ბერუკისა, ქრისტეფორე ხუცესი, მამუკა — მოურავი გოგიტისა, გლახუკა — მოხელე, წინწვიგლა — ხელოსანი, მერაბ — მოტირალი, ჯანვერდა — მთახლე მარიკისი, ახნაურნი და მსახურნი;

ზაქარია — თავადი ქართლისა, ნინო — დედა ამისა, ელისაბედ და ელენე — დები მელანისი, სვიმონა — მსახური ზაქარიასი. სტუმარნი და მსახურნი.

მოქმედება I. გამოსვლა 1. იმერეთი გოგიტის სახლში. მარიკა არწმუნებს ქმარს — გოგიტის — წადიდეს ქართლში და მათ შვილს — ბერუკის საცოლად მოუძებნოს. გოგიტი გაემზავრება.

გამოსვლა 2—3. იქვე. მარიკა დაჯავრებულა, გოგიტისაგან არაფერი ამბავია, თან ცუდ სიზმრებსაც ნახულობს, დაჯი და ბარბაღე ამწვიდებენ. ამ დროს გოგიტი ბრუნდება, ატყუებს მარიკას საქმე ვერ გავარჩევო. მარიკას გული უღონდება, ოთახიდან გაჰყავთ.

გამოსვლა 4. იქვე. გოგიტი უცხადებს შვილს — ბერუკის საცოლად მოგვიძებნე და ქართლში წასასვლელად მოემზადეო. ბერუკი უარზეა — ხენისა და თვისის დროა, საქონელს მოვლა და პატრონობა უნდა. მამა არ დაუჯერებს. ქართლისკენ გაემზავრებიან.

გამოსვლა 5—6. ქართლი. თავად ზაქარიას სახლში მზადება, მახარობელი მოვიდა. მელანისი დები და მონაგარდისა ფანჯრიდან სასიძოს გადასცქვრიან და დასცინიან.

მოქმედება II. გამოსვლა 1—5. ქართლი. მოლაპარაკება ქორწილის შესახებ. ბერუკი უკმაყოფილოა. მარიკა ფეშქაშებს უგზავნის მძახალს. ნინო დათანხმდება, რომ ქორწილი იმერეთში გადინდონ. ჯვარსაწერად მიდიან.

მოქმედება III. გამოსვლა 1—2. ქართლი. საყდარში ჯვარის წერა. ჯვარდაწერილობა ზაქარიას სახლში მოყვანა. მარიკას და ნინოს კომიკური დიალოგი: ბერუკი რჩება, მისიანები იმერეთში ბრუნდებიან.

გამოსვლა 3—4. ზაქარიას სახლში. ჯვარდაწერილობა არშეიძობის კომიკური სცენა. ბერუკი იმერეთში მიდის და დაიბარებს: მელანისს ქართლიდან მაყრები არ გადამოჰყვენ, თორემ მისი ოჯახი დაიფხება. მალე ბერუკასაგან ბარათი მიიღეს და მელანისს სამგზავროდ ამზადებენ.

გამოსვლა 5. ქართლი. მდინარის პირად. მელანია ეთხოვება თავისიანებს. ბერუკი არასდროს არ უკადრისობს — კამბეჩს გადააჯდობა და მერვე ნაპირას გადააქვს ბარგი. მელანისს და ნინოს შიშისაგან გული უსკდებათ. ბერუკი ქართლელებს დასცინის. იმერეთში მახარობელს გზავნიან.

გამოსვლა 6. იმერეთი. გოგიტის სახლში. მარიკა ჯავრობს. თუ მელანისს ქართლიდან ნათესავები მოჰყვა, ოჯახი დაიფხება. დაჯიკი ამწვიდებს.

გამოსვლა 7. გზაზე. ბერუკის ბაბუა — პატრიკი იარაღში ჩამსხდარი და ფეხშიშველი ახნაურების თანხლებით მოდის სასიძოს შესახებდრად. უცხად ფამფარას (რძიან ბალახს) დანახავს, ცხენიდან გადმოხტება და ჰამას დაუწყებს. შეხვედრა, მისალმება და ურთიერთ მოკითხვა.

მოქმედება IV. გამოსვლა 1—2. გოგიტის სახლში. მეფე — დედოფალს ეგებებიან. ქორწილი იმართება. კომიკურად არის ლატაკი თავადის სურფა და ლხინი აწერილი. პატრიკის ტრაბახი — კომიკური დიალოგი ნადირობის შესახებ. შემოვსმებათ მოთქმა-ტირილი და ყველანი კარში გაველენ.

მოქმედება V. გამოსვლა 1—2. იმერეთი. წინწვიგლას სახლში. სახლის პატრონი გარდაცვლილა. ტირილი. მარიკამ და ბერუკიმ გამორჩევს — წინწვიგლა ქართლში პურს სჭამდა და ის მოჰკლავდა.

გამოსვლა 3. იქვე. მოტირალის შეცხადების კომიკური სცენა. კუბო არა აქვთ. ბოდვის იწმენდენ, ცხონებულმა დაიბარა — კუბოში ნუ ჩამასვენებთო. ჭილოზე დაასვენებენ, რომ ასწვენ, ჭილოში გაიხევა და მკვდარი ძირს დავარდება. ჭილით, რომ მკვდარს ფათერაკი დემართა. ქართლელი — სვიმონა დასცინის იმერლობას — მკვდარს თუ ფათერაკი ემართება, ცოცხლები ხომ თლად წაიპლწვენ აქაობასო. სვიმონას გალახვას დაუპირებენ. ქაქიჩი ყველას ამწვიდებს — წინწვიგლას რაც სიბილწე ჰქონდა სააქაოს დასტოვა და საიქიოს გაწმენდილი მიდისო. ამით ყველა გახარებულნი დაიშლებიან.

გამოსვლა 3. იქვე. მოტირალის შეცხადების კომიკური სცენა. კუბო არა აქვთ. ბოდვის იწმენდენ, ცხონებულმა დაიბარა — კუბოში ნუ ჩამასვენებთო. ჭილოზე დაასვენებენ, რომ ასწვენ, ჭილოში გაიხევა და მკვდარი ძირს დავარდება. ჭილით, რომ მკვდარს ფათერაკი დემართა. ქართლელი — სვიმონა დასცინის იმერლობას — მკვდარს თუ ფათერაკი ემართება, ცოცხლები ხომ თლად წაიპლწვენ აქაობასო. სვიმონას გალახვას დაუპირებენ. ქაქიჩი ყველას ამწვიდებს — წინწვიგლას რაც სიბილწე ჰქონდა სააქაოს დასტოვა და საიქიოს გაწმენდილი მიდისო. ამით ყველა გახარებულნი დაიშლებიან.

ბოლოს ზაქარია იტყვის როგორც ავტორი: „თუ იმერეთ მეგინდის, ჭოფილან ცუდგვარად შესანიშნავნი.“

„მაშ იქნებთან ცოცხალნი უმეტეს გაუშლდებენი „ამ თვალთმაქცთ მაცოფრთ ერიდეთ ვის სურს ცხვრება ნებისა“

„გვონებ მოგწყინდათ წაბძანდით თავს გიკრავთ ლამე ნებისა“.

ოქროსი წერეთლის სტილის დასახასიათებლად აქვე მოგვყავს დიალოგი მარიკასა და ნინოს შორის.

მ ა რ ი კ ა

ბატონო ჩემო მძახლო ბერუკის აქანა ვსტივებ და ეს სათხოველი მაქვს და თქვენთან ნურაფერს საწყენს ნუ უბოძებთ გაქნილის კვერცხის, გურალი ქათმის და ლობიოს კირკაყის ნამეტანს ასეთ მყავს ნაჩვევი შენი ჭირბე და უბრალო რაცლა ქართულს საქმელებს შაქრიანებს და რაცლა მანორიყა იმას ნუ უბოძებთ ლთის მადლს.

ბ ი ბ ო

სარწმუნო ბრძანდებოდეთ ჩემი შვილების მსგავსად და უმეტესათა ცსყვარელია ჩემი სიძე და როგორც თქვენ მიბრძანებთ არაფერს საწყენს არ ვაქმევ და ყოვლის ღონისძიებით ვეცდები გაუფრთხილდე.

ოქროსი წერეთლის პიესა, როგორც მე-19 საუკ. პირველი ნახევრის ორგინალური დრამატურგიის ნიმუში და მაჩვენებელი სოფლად თავისეული თეატრის არსებობისა — ღირსია ყურადღების და შესწავლის. სამეფო ტახტის საპოლიციო კალმონებმა შესთხვეს ზღაპარი, თითქოს ქართული თეატრი ახალ ხილად თვითმპყრობელობას ებოძებია „ტუფმეციებისათვის“. ნამდვილად კი, ბევრით უმაღ ვიდრე, ვარანცოვის ხელისშეწყობით, გ. ერისთავი მუდმივ ქართულ სცენას გამართავდა, არსებობდა და ცოცხლობდა ხანდაზმული და მრავალსახოვანი „თეატრი“. ეს არ ნიშნავს ერისთავის თეატრის უარყოფას. საჭიროა მხოლოდ ფაქტების დადგენა.

ყველ წოდებას საკუთარ კლასიურ ინტერესებით გათავისებურებული თეატრი გაჩნდა. „ბრწყინვალეთა“ ორთავ-თვალის სინათლის საამებლად და თავშესაქცევად თეატრი იმართებოდა პეტრე ბაგრატიონის, ივანე ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლთა დარბაზებში. — ეს იყო ქალაქში თავშესაქცევად შეხიზნულ მემამულეებისა და მსახურეული არისტოკრატის თეატრი. „მესამე წოდება“ (ვაჭრები და ხელისნები) ჯერ

კიდევ, ბერიკაობითა და ყენობით ათიატრალენდა თავის მისწრაფებასა და წინახედს, ხოლო სოფლად „შუათანა“ თავდაწნაურობას თავის საკუთარ დრამატურგიულ-დაქრეობითი თეატრის ელემენტები ჰქონდა — ამ თეატრისა და მისი დრამატურგიის თვალსაჩინო წარმომადგენლად ჩანს „თავადის ქორწილის“ დავიწყებული ავტორი ოქროსი წერეთელი.

ოქროსი წერეთელი გ. ერისთავზე აღრინდელ რეალისტად მოჩანს. — გლუხარჩე უფრო რადიკალია და უფრო გამბედავი. გალატაკებით თავვე დაქანებული „შუათანა“ წოდება სიმართლეს უფრო ხმამაღლა და გარკვევით ლაღადება, ვიდრე მძალარი ჩინ-ორდენებით გულმოგებული არისტოკრატია.

ოქროსი მოთმინებადაკარგული „იარაღში ჩამსხდარი და ფეხშიშველი ახნაურის“ სიცილით იცინის, მისი სიცილი არ გავს გ. ერისთავის მოიარებით მორიდებულ გაღიმიას. გ. ერისთავის სიცილი ლუარსაბის მძალარი სტომოქიდან მოხიხინობს, ოქროსის სიცილი კი — რძიან ბალახს მონატრებული, დამშეული ახნაურის ბოლბა, შხამია და გესლი. გ. ერისთავის სიცილი „მოყვარეს პირში უძრახავს“, ოქროსი კი არავის არ ერიდება, უწყალოდ ამთრახებს საკუთარ თავს — საკუთარ წოდებას. ოქროსის სიცილი დავით კლდია შვილის სიცილს ჩამოგავს. დიდი დავითის სიცილის სათავე აქ, ოქროსის კომედიის მოინახება.

გალატაკებული ახნაურობა კულტურის მიმართაც ხელეწიროდ არის. „შუათანა“ წოდების კულტურა სოლომონ მორბელაძის ხურჯინს წაგავს, რომლის ერთ თვალში არისტოკრატული კულტურის ნასუფრალია და მეორეში — ხალხურის სიბრძნის დოვლათიდან ხელმონაცვლებული სორავი. ამ „შუათანა კულტურაზე“ აღმოცენებული, ოქ. წერეთლის კომედია არისტოკრატის ლიტერატურის თეატრალურ ტრადიციებსაც ემორჩილება, მაგრამ ხალხურზედაც უარს არ ამბობს. კლასიკური კომედიისა და ბერიკაობის საიმპროვიზაციო „დრამატურგიის“ ტრადიციები აქ ურთიერთს შეთავსება და ჩვენ „თავადის ქორწილის“ სახით ხელთა გვაქვს მიტად საინტერესო ორგინალური უარის კომედია. ოქროსის კომედიაში მთელი რიგი სცენები აქტიორთა საიმპროვიზაციოდ არის განკუთვნილი; მოცემულია მხოლოდ მდგომარეობა, რომლის სიტყვითი გაფორმება და სცენიური განსახეობა აქტიორის ნიჭსა და უნარზეა მივადებული. ამნაირად ამდაგვარ სექტაკლის მონაწილე აქტიორიც იქნებოდა და ბერიკაც.

ლექსის სათაურიდანაც აშკარაა, რომ საქმე ეხება შოთას თარგმანს: „გეგეჰკორისაგან მიწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძისთან, ოდეს სთხოვა მან შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმანში“. თუმცა ბუნდოვანად არის აზრი გამოთქმული, თუ ვინ არის შემწე, მაგრამ ალბათ, მართალი იყო ექვ. თაყაიშვილი (რომელმაც პირველმა მიუთითა ამ ლექსზე), როდესაც ფიქრობდა რომ მთხოვნელია გეგეჰკორი. მართლაც, რა დახმარება უნდა ეძია გეგეჰკორისგან ჭავჭავაძის? ჭავჭავაძისგან კი შემწეობას, რა თქმა უნდა, რუსულ ენის მხრივ მოელოდნენ, რადგანაც მას საუკეთესო რუსული განათლება ჰქონდა მიღებული.

ლექსის ავტორი ის გეგეჰკორია, რომელიც 1836 წ. ჯერ კიდევ 20 წლის ჭაბუკი, ბესიკს გაეჯობრა და „რუხის ბრძოლა“ პოემად „ალწერა“. იგი რუსთაველის თავყანისმცემელი იყო (... „რუსთველებს უნდა მწერალი, ვინათგან მხოლოდ მას ეყრა კალამი სულის მბერალი“ — ო, აცხადებს იგი). გეგეჰკორი, ჩვეულებრივად, ჩანს, დავითის კარზე იმყოფებოდა („რუხის ბრძოლა“ დაწერილია „სამეგრელოსა შინა, სამთავროსა სასახლესა, ზუგდიდს“). მისი მონაწილეობა წამოწყებულ საქმეში ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია.

საკუთრადღებოა ამ ამბების ქრონოლოგიაც. გეგეჰკორის ლიტერატურულ ურთიერთობისათვის ალ. ჭავჭავაძისთან

ბუნებრივი და, ალბათ, აგრეთვე აუცილებელს, პირობას შეადგენდა ჭავჭავაძის მოყვრობა სამეგრელოს მთავართან. დავითმა ალექსანდრეს ასული, ეკატერინე, ნ. ბართაშვილის ტრფობის საგანი, შეირთო ორმოციანი წლების დამდეგს. რადგანაც რულიად შეუძლებელია, რომ დადიან-ბარდტინსკის თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ გეგეჰკორს დამოუკიდებელი თარგმანის შესრულება ეცადა, — მას ამას მიუტევებელ უზრდევლობად ჩათვლიდნენ (გრიგოლი ხომ იმავე წრის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო მთავრის შემდეგ), ამიტომ უეჭველია, რომ ლექსი დაწერილია, მიახლ., 1843-5 წ.წ., და აქ სწორედ ეს თარგმანი იგულისხმება, განხორციელებული, ალბათ, გეგეჰკორისა და სხვათა ერთგვარი მონაწილეობითაც. შესაძლოა, ბარდტინსკი, ამ შემთხვევაში, ალ. ჭავჭავაძის კანდიდატი ყოფილიყო.

გარდა ამისა, ჩვენ ვუპირობთ, რომ თარგმანის ფორმაც შემთხვევითი კი არ არის, არამედ შეგნებულად არის შერჩეული დასახელებულ წრის მიერ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა და ნიშანდობლივია, რომ იმავე ლიტერატურულ სკოლის წარმომადგენელი და თითქმის იმავე თაობის პოეტი, მამია გურიელი, ჰომიროსს ქართულად რუსთველური შაირით თარგმნის (მგოსანთა ღმერთო, შეამკე აქილეს პელეიანი, მწყრალი, ვინც აქაელებსა ათასი მისცა ზიანი“... ასე იწყება ეს თარგმანი). მამია ლიტერატურულად ერთგვარი მოწაფეც კი ყოფილა გრ. დადიანისა; იონა მეუწარგაის ცნობით,

გრიგოლიმ ასწავლა მამიას ლექსის კითხვის ის განსაკუთრებული, ძველებური მანერა, რომელმაც შემდეგში მამიას დეკლამაციას არაჩვეულებრივი სახელი გაუთქვა. უეჭველია, რომ ეს პირები ერთი და იმავე შეხედულებათა მატარებელნი უნდა ყოფილიყვნენ პოეტის სფეროში. აღნიშნული ფაქტები საფუძველს გვაძლევს მტკიცებისათვის, რომ მოცემული ლიტერატურული სკოლა, ანტიკურ და ძველ ქართული მწერლობის საუცხოო ცოდნის საფუძველზე, ანტიკურ ჰექსამეტრის მეტრიკულ ფარდად ქართულში რუსთველურ შაირს თვლიდა, არა, რა თქმა უნდა, ვიწრო გარეგნულ-ფორმალური მხრით, არამედ მხატვრულ შთაბეჭდილების თვალსაზრისით, ეპიკურს რიტმულ-პოეტურ თქმაში (წმინდა მეტრის თვალსაზრისით შაირს კლასიკურ პოეზიაში შეიძლება უფრო უნაკლო პარალელები ჰქონდეს, როგორც ამას განსვ. სერგი გორგაძე ამტკიცებდა).

ეს საკითხი საინტერესოა და მის დაყენებას შესაძლოა გარკვეული ისტორიული საფუძვლები მოეძებნოს, მაგრამ იგი ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს არ შეადგენს. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ ჰექსამეტრის გამოყენებას შოთას ლექსის გადასაცემად, კერძოდ რუსულ ენაზე, გარკვეული ტრადიცია (უფრო გრძელიც, ვიდრე რომელსამე სხვა მეტრს) და, იქნებ, გარკვეული თეორიული საფუძველიც აქვს. ვფიქრობთ, ეს თარგმანი ერთი

საუკეთესოთაგანია, თუმცა მურავიოვისა არ იყოს, ბარდტინსკის ჰექსამეტრი უზადო არ არის. აი, ორი ნაწყვეტიც:

- 1) „В Аравии был Ростеван, Государь
взлелеянный Богом,
Великий и щедрый и кроткий, мощный
народом и войском,
Прозорливый, уиный судья, любивший
и правду и милость,
Умевший владеть и меча и речей вла-
стительной силой“.
- 2) Она почитала себя недостойною отчего
трона,
И полон слезою росы сад пышно дрею-
щей розы;
Стец говорит Тинатине, а сладки отцов-
ские речи:
„Пока не сбылось это, жег непрерывный
огонь мою душу!
На прах и на розу равно сияет роскош-
ное солнце,
И ты ияливая свою милость равно на
могущих и слабых,
Щедротой привяжешь ты всех, и тот,
кто привязан, уж связан;
Щедроты царей дают плод, как чинары
цветущего рая;
Напитки и яства полезны, но тщетно
хранить их без нужды;
Подашь их — себе же в добро; чего не
подашь, то пропало“!

ჩვენს პირობებში შესაძლო იქნებოდა ამ ხერხის გამოყენება უფრო თვალსაჩინო წარმატებით. ჰექსამეტრი საშუალებას იძლევა დაცულ იქნას ლოგიკური და მხატვრული სიზუსტე ორგინალის გადმოცემისას და არც რიტმულ-ზომილი მეტყველების ღირსებებსაა მოკლებული.

აფხაზეთის სახელგამა გამოიმუშავა მხატვრულ ლიტერატურის დარგში თავისი მუშაობის 1835 წლის გეგმა.

მხატვრული ლიტერატურის საგამომცემლო გეგმაში შეტანილია: ადგილობრივი მწერლების ნაწარმების გამოცემა: ს. ჩანბა — „სიდიდი“, ცვი შბა — „ხმალი“ და სხვ. განზრახულია აფხაზეთურ ენაზე გადათარგმნოს ქართული დან: ი. ქავჭავაძე — „გლახის ნამბობი“, „ოთარანთ ქვრივი“, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ (თარგმანს შეასრულებს ს. ჩანბა), პ. ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავი“ (თარგმანზე მუშაობენ ნ. მიქავა და კ. აკუმა), კ. ლორთქიფანიძის „ძირის სიმინდის რესპუბლიკა“ (თარგმნის პ. ქვადუა), ლეო ქიაჩელიის ნოველები (მიქავა და აკუმა).

რუსულიდან: მ. გორკი „ფსკერზე“, „მეკარ ჩუღრა“, „ადამიანის დაბადება“, „სიმღერა შევარდნაზე“, პუშკინი — „კაპიტანის ქალი“, გოგოლი — „ქორწინება“, ტურგენევი — „მონადირის წერილები“, გრიბოედოვი — „ვია ჰეუსიანა“, ლერმონტოვი — „ჩვენი დროის გმირი“, ჩერნიშევი — „რა ვაკეთოთ?“, ტოლსტოი — „ხაჯი მურათი“, „ომის შემდეგ“, სერაფიმოვიჩი — „რკინის ნიადღარი“, ფადეევი „განადგურება“ და სხვ. უცხოეთის ლიტერატურული დან დე-პე-დე-გეს — „ცხვრის წყარო“.

ამ მეთად საინტერესო გეგმას ავსებს პირველი აფხაზეთის სიტყვარი.

ნ. მიქავა



ქიროვის სსოვნას

ჩემი კოლხიდა

მზე ჩაიხვეწა, მთამ მოიღრუბლა, ამოვღვარდენ ვარსკვლავნი ცაში. ერთი მათგანი ცას ისე მოწყდა, როგორც ქიროვი საბჭოთა კავშირს.

და მთელ ქვეყანას უცბად მოედო მოულოდნელი შენი ამბავი, შენზე სიტყვები ვერ გამოიმთქვამს და გულში მჩიება დაუსტამბავი.


ლ. ხაბერდა

სენაკი. გორკის სახელობის საშუალო სკოლის მოწაფე

სხვა გაზაფხულით ამწვანდა მიწა, სხვა ფრინველების ისმის ხმაური. ქაობი ბალად რომ გადაიქცა არის ამბავი ლეგენდარული. წინად ეს მხარე ჰქონდა დადიანს, ეს ტყე, ეს ველი და ეს ქაობი. ბევრჯერ ტახებზე მან ინადირა ფეოდალური გამბედაობით. მაგრამ დრო უკვე გამოიცვალა, მზე ცაზე ბრწყინავს ახალ ღლებად, შორს გადუქვალეს ქაობის ტალახს ახალ კოლხიდის მოსახლეებმა. თვალწინ ამწვანდა მინდორი ვრცელი. ელნათურები ხეებზე დასხდნენ. შრომის ხალისით და მხნე სიმღერით, მიდიან გლეხნი ცინცხალ დილაზე. აქ სიხარულმა იფეთქა ნაღმად. ერთად იბრძვიან შრომის გმირები, და ქარიშხალში ხობის წყალს გაღმა ქაობს აშრობენ დინამიტებით. მანდარინებით ამწვანდა მიწა, სხვა გაზაფხულის ისმის ხმაური, ქაობი ბალად რომ გადაიქცა — სინამდვილეა ლეგენდარული.

პ. გოგიბერია

ფოთი. ცამეტი წლის მოწაფე



საბავშვო წიგნის ილუსტრაცია ე. ახვლედიანისა

ოლიმპიადის ძროხიკა

ბათუმის, სენაკის და ტფილისის გარდა ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადაში იწყებენ მონაწილეობის მიღებას თელავი (მასალები მოგვივიდა რაიონული განათლების რედაქტორისგან), ქუთაისი (მასალები მივიღეთ პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელისგან), ფოთი (გან. განყოფილება). ტფილისის „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ოლიმპიადის ჩატარებაში. ტფილისშივე ვერო-შილოვის კლუბში 27-ში გატარდა ბავშვთა შემოქმედების დიდი საღამო.

ახალი პიესები

დრამატული შემოღობა პრაქტიკაში ახალი პიესების სექციის სხდომაზე წაითხვა. პირველ რიგში მოხსენიდა იქნა საქართველოს კონკურსში პრემიარებული პიესები.

სამ სხდომაზე წაითხულ იქნა სამი პიესა („შამილი“ — იონა ვაკელის, „მეჯლისი“ — თარხნიშვილის და „განურჩევლად პიროვნებისა“ — ბააზოვის). გამოსული დრამატურები მიუთითებდნენ ავტორებს პიესის ნაკლოვანებებზე და აღნიშნავდნენ მის ღირსებებსაც.

პიესა „შამილი“ კარგად არის დაწერილი — აღნიშნავდა ს. მთავარაძე — თუმცა „შამილის გმირობა ნაკლებად ჩანს. მაყურებელმა არ იცის თუ რა ამოქმედებს შამილს, რისთვის იბრძვის იგი, მიზანი გარკვეული არ არის — დაასკვნის იგი. თითქმის ახეთივე აზრისა იყვენ გაბისკირია, ალბაზიშვილი, თარხნიშვილი და შიუკაშვილი. ბააზოვისა და სამსონიძის აზრით „შამილი“ დაწერილია მხატვრული ენით და დრამატურგიულად ძლიერად არის იგი გაკეთებული. მათ საჭიროდ მიაჩნიათ ამ პიესის ჩვენს სცენაზე დადგმა ზოგიერთი შესწორებების შემდეგ.


სულ სხვა სურათს იძლევა თარხნიშვილის პიესის „მეჯლისის“ გარშემო გამართული კამათი. თარხნიშვილი დამწყებ დრამატურგთაგანია. იგი ჯერ კარგად ვერ იცნობს სცენას, დრამატურგიის ტექნიკას, რის გამო მისი პიესა დაუმთავრებლობს. თარხნიშვილსა სლოვანს. კამათი გამოსულ ამბანაგებს პიესის მთავარ ნაკლად მიაჩნიათ ის, რომ მასალა ფლობს ავტორს, ავტორმა ვერ შეძლო მასალის დაძლივა, რის გამო პიესაში ნაკლები მოქმედებაა. ჭარბობს „სიტყვიერება“ და დეკლამაცია.

ავტორს მიეცა მთელი რიგი მითითებებისა პიესის შემოკლებისა და გადაამუშავებისათვის.

ბააზოვის პიესა „განურჩევლად პიროვნებისა“ თანამედროვე საბჭოთა მასალაზეა აგებული. ამიტომ იგი მებ ინტერესს იწვევს მოკამათთა შორის. კამათში გამოსულ დრამატურგების აზრით ბააზოვის პიესა ცოცხალი ენით არის დაწერილი, დრამატურგიულად კარგად არის შეკრული და მის დადგმას მაყურებელი ინტერესი დაეხსრება.

ავტორს მიუთითეს მთელ რიგ სექმატურ და გაქიანურებულ ადგილებზე, რომლებსაც ავტორი ფიქრობს გადაამუშავოს სცენაზე დადგმის მუშაობის პროცესში.

მორიგ სხდომაზე განიხილება გ. თაქაიშვილის პიესა „უთანხმოება“.



საბავშვო წიგნის ილუსტრაცია ე. ახვლედიანისა

შავი ზღვის ნაკირთან

(ნარკვევი)

პირსავეს მთვარე და თვალცქირილა ვარსკვლავები დაჰყურებს კოლხიდის შემოდგომას და შემოდგომის გრილი ზღვაური ქარს ხეივანში.

ზღვაური ხეებზე ფოთლებს აშრილებს, გაყვითლებული ფოთლები ჰაერში ტრიალებენ და მიწაზე დევარდნისას ერთი-მეორის ახლოს თავსდებიან, და მთვარის შუქზე ისე ჩანს ხეივნის ფართობი, თოთქოს ვილაცას ზღაპრული ხალიჩა გაუშლიაო.

ყურძენს, რომ ნისლი შესუდრავს, უფრო ტკბილია და მიმზიდველი, ხოლო როდესაც ნისლი შეთხელდება, მთვარე დახედავს ქვემო ზღვარს აცეტელენის კაშკაშა შუქივით, მაშინ მტევანზე მწიფე მარცვლები ქარვის ვერად ეღვარებენ... ძველად კი...

რთველი კი არა ქაობის ამშორებული სუნი იდგა. მცხოვრებლები, ზამთარ-ზაფხულ ციებ-ცხელებით გაფითრებულნი სულს დაჟავდნენ და მთელი წლის განმავლობაში ქინაქინის მეტ რაოდენობის დალევაში ერთი-მეორეს ეჯობებოდნენ. მწიფე და მსუყე შემოდგომაა ფოთში. ძველ ნაქობარ ფართობზე გაზრდილი ამერიკული გრეიფრუტი და სხვა ციტრუსოვანი მცენარეები შრიალბენ.

ამ მცენარეებსაც შეჯიბრში ყოლიათ გამოწვეული ერთმანეთი მეტი ნაყოფის გამოხსნაში.

ფოთლები არ უჩანთ, ისეა მოსავლით დატვირთული და მსხმოიარე შტოები გადმოხეჩილი...

რაც რომ ძველი ქაობიანი ფოთი მოკვდა, უკვე მესამე წელია და ძველი ფოთის გარდაცვალების სამი წლის თავზე ვხვდებით ციტრუსოვან მცენარეთა ნაყოფის უხვი მოსავლით. ყოველივე ეს მიღ-

წეულია ფოთში პარტიულ კომიტეტის ზუსტი და კონკრეტული ხელმძღვანელობით.

აქარელ ქალივით შეყვარებია ამ წყევლ მთვარეს ეს ჩვენი გრეიფრუტის საბჭოთა მეურნეობა.

აგერ რამდენიმე ღამეა ვაკვირდები და მთვარე სულ ამ მეურნეობისკენ იცქირება.

უღიმის ყვითელ ნაყოფით დატვირთულ მცენარეებს. მთვარე თავის შუქებს ისე აბნევს შტოებზე, მწვანედ აშლილ ციტრუსოვან მცენარეებს, თითქოს რომელიმე ქალიშვილს მისის ვარდს აბნევდეს გულზე.

მაინც როგორ გამოიკვალა ფოთის მიდამოები. ქაობს ახრჩობს ექსკავატორები. ციებას კი მწვანე ციტრუსები.

სულს დაფავს თამბაქოს ფოთოლივით გაყვითლებული კოლხიდის ქაობი... .. დღეს ციტრუსები კოლხიდაში წარსულის უკანასკნელ ნაშთებს ასამარებენ.

თხრილთან მიგდებული, ძირფესვიანად ამოთხრილი თხმელა ჩამქრალ თვალებით გამოიყურება, თითქოს ბოლმით იხრჩობა, ისე შეჰყურებს ევკალიპტებს, რომ მის ადგილზე დაურავთ და საღამოს თუ დილით ზღვის ნიაზე გაშრიალბებული მათი ფოთლები ისე ეხებიან ერთმანეთს და ისე ნაზად შრიალბენ, როგორც ახალგაზრდა ქალგაყის სიყვარული...

ფოთი, ეს პატარა ქალაქი, ღრუბლებისა და წვიმის საყვარელი ქალაქია. ფოთის ქუჩებში კუბრავით ღამე იცის გაწოლა. მაგრამ ფოთს ელდენის ჩქვრით წამოეხმარა რიონჰესი.

რიონჰესის მავთულები რიონის ძარღვია, რომლითაც დაქსაქსულია ქალაქი ფოთიც. აინთენ და აფერადდენ ფოთის ქუჩები.

სამუდამოდ გაქრა უკუნი სიბნელე. საბჭოთა ხელისუფლებამ ახლა მიზნად ციებიანი რიონისათვის ახალი კალაპოტის გაქრა დაისახა.

ეს ადვილი საქმე როდია.

ძნელია რიონის სხვა გზით გასტუმრება ზღვისკენ, მაგრამ ჩვენი გმირების ნათელი გონება არქტიკის ყინულოვან მთებზე აღნობს.

შმიდტმა პირველმა შეუნთო გმირული ცეცხლი ჩრდილოეთ ყინულოვან მხარეს, სადაც პურგა მძინვარებს, სადაც ყინულოვანი მთები მოძრაობენ, სადაც ყინვა ირგვლივ და ზემოდ თოვლის კორიანტელი.

ჰო და... ჩქარა ფოთს 12 კილომეტრით დაცილდება რიონი. სულ მალე, ორიოდ წლის შემდეგ, რიონის მდორეთ მგორავი ტალღები, ნაბადის ლაქაშიდან ველზე გაიჯირითებს, სადაც დღეს მისთვის ითხრება უზარმაზარი არხი.

ხოლო ფოთში, რიონის ამ ძველ ადგილს, შავი ზღვის ლურჯი ტალღები შემოუტლანუნებენ შიგ შემოსულ სამხედრო გემებს.


რიონის კალაპოტის გამოცვლასთან ერთად გამოიცვლება ჰავა, მუშათა საცხოვრებლის წინ ონკანებიდან შადრევნებთან აჩუხნუხდება მთიდან გამოყვანილი ანკარა წყარო... აი, მეორე ხუთწლედის ბოლო. ჩქარა ახალი ფოთი ახალი კოლხიდის მიდამოებს ცისკარივით გადმოანათებს შავი ზღვის ნისლოვან ნაპირებიდან.

ვალიკო ფილია

ფოთის ტექნიკუმის მოწაფე

25-26 იანვარს მწერალთა კრიტიკოსთა სასახლეში ჩატარდა კრიტიკის რესპუბლიკური თათბირი...


„სართულები“ მეორე გამოცემა გამოვიდა სომხურად სახელგამის გამოცემაში...



„ფედერაცია“ სცემს ანტონ ფურცელაძის რომანს „მაცი ხეტიას“ და ს. გუგუნიას „თამარას“.

ივ. მაჭავარიანი პიუჯოს „ოთხმოცდაცხრამეტს“ ნათარგმნი პირველი ტომი...

21 იანვარს მწერალთა პოეტი ქალები სასახლეში ღვეან ასათიანის მიერ წაკითხული იქნა...



პოეტის კვირეული ტარდება საფრანგეთში რის გამო უან ვინია ათავსებს ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში წერილს...

იზორიდ შნიდერის უკანასკნელი წიგნის „ამხანაგი და ბატონის“ შესახებ „დედლი უორკრემა“ დაბეჭდა...

მელშიაც განხილულია როგორც აღნიშნული წიგნი, ისე შნიდერის შემოქმედებითი გზა...

დოსტოვესკი პარიზში იბეჭდება დოსტოვესკის თხზულებები უკანასკნელ ენაზე...

აკაკისეული სახლი

უწყურადღებოდ არის მიტოვებული სახლში აკაკისეული სახლი, რომელშიაც სახელგანმა მგოსანმა გაატარა თავისი სიცოცხლის ათეული წლები.

სახურადიდან წვიმა ჩამოდის, იატაკი საცა არის ჩაინგრევა. მნახველთა შთაბეჭდილების წიგნში უფრო მეტი შენიშვნა მოითხოვს აკაკის ბინის შეკეთებას და მოვლას...

აკაკისეულ სახლს ქვია „მწერლის მუზეუმი“. არავითარი საერთაშორისო აკვს ამ სახელწოდებასთან ასევე პირობებში არსებულ აკაკისეულ სახლს...


თეატრი და ღრამაბურგია

რუსთაველის თეატრი ორ ახალ პიესას ამზადებს მორიგ პრემიერად. 1. „აკაცია ადამიანი“ ი. ჭავჭავაძის მოხერხებულ მიხედვით...

„სკაპენის იონები“ მოლიერის ამ კომედიას დასადგმელად ამზადებს საქართველოს პროფსაბუქოსთან არსებული მუსიკალური სატირის თეატრი...

„მეზღავური და შეგირდი“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ამჟამად მზადდება დასადგმელად ანდერსენის საუკეთესო ზღაპრების მონტაჟი...

მარჯინიშვილის სახ. თეატრი უკვე შეუდგა მუშაობას პირველ ბაზოვის პრემიერებულ პიესაზე „განურჩევლად პიროვნებისა“...



ფერადი ფილმების შესახებ ცნობილი კინო მუშაკი ლიოდ კორიგანი ამბობს, რომ ამ ფილმებს უდიდესი მომავალი აქვთ, ერთი მხრით ფერადობა აღრმავებს დრამატულ მომენტებს...

ედგარ პოს კოტედი საზღვარგარეთის ერთ-ერთ უფროსში მოთავსებულია ედგარ პოს კოტედის აღწერილობა...

სტენდალის წერილები ფრანგულ ენაზე გამოვიდა მესამე უკანასკნელი სერია სტენდალის წერილებისათვის...

(К. Паустовский — „Кожихда“, Повесть 1934 г.)

თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში ამ ბოლო ხანებში განხორციელდა ქართველ ინტელის, ქართველ პარტიკულის ტიპის მოცემა...

კ. პაუსტოვსკის ძალიან საინტერესო და თავისებური მწერალია. მას შეიძლება მხატვარი-გეოგრაფი ან მხატვარი მხარეთმცოდნე და ვარაუდობთ იგი ბევრს მოგზაურობს...

სისიდავე, სიმარტივე, მოკლე მოტივი გრძელი ამბავი ახასიათებს პაუსტოვსკის ყველა ნაწერს...

ძველ ქაობებისა და ტყეების მოსპობასთან ერთად ისპობიან ძველი ადამიანები და იქნება ახალი ტაბი.

სამეგრელოში განთქმული მონადირე გულია, რომელიც ჰკლავს ქაობებში საგანგებოდ გაშენებულ არგენტინიდან მოყვანილ ნადირს „ნუტრიას“...

გაბუნია გვეგების შავი მელნით აჭრულ მუქ ნაკვეთებშიაც ხედავს კოლხიდის მომავალს...

პაუსტოვსკის წიგნი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს წიგნები ახალ აღმშენებლობის და ახალ ადამიანთა შექმნის შესახებ.

სასურველია ამ წიგნის გადათარგმნა და ქართველ მკითხველისათვის გაცნობა, რადგან ჯერ ვერც ერთმა ქართველმა მწერალმა ვერ შეძლო ასე დამაჯერებლად და მხატვრულად მოეცა ის პროცესები...



განსაკვირვებელია 25 მხატვართა კავშირის გაღრმავებისათვის სურათები დახატულია საქართველოს მხატვრების მიერ.

ჩატარდება მიმდინარე ა/კ. ხელოვნების წლის მისის თვეში. ა/კ. მეორე ოლიმპიადის ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე გამოყო ოლიმპიადის ჩამტარებელი კომისია...

1934 წელში ჩატარებულმა ოლიმპიადამ უდიდესი გავლენა მოახდინა ხალხური შემოქმედების ზრდაზე...

უპირველეს ყოვლისა რესპუბლიკები ეხლავე უნდა შეუდგნენ ოლიმპიადისათვის სამზადისს...

მეორე ოლიმპიადის უფრო ფართო სახალხო ხეივანდ უნდა გადაიქცეს, ვინც პირველი.

საყურადღებოა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების ინიციატივა ტურისში უკრაინულ მუსიკის დეკადის ჩატარებისათვის...

თავის თეატრსა და საკონცერტო დარბაზში მოეწყობა მთელი რიგი კონცერტებისა.

პროფგამომცემლობა უშუბუნდელეების მოთხოვნები ვებს მუშა შეტყუანდელეების მოთხოვნების კრებულს ავსტრიაში თებერვლის ბრძოლების შესახებ...

აქსტრიის პროლეტარიატის თებერვლი ბრძოლების შესახებ მოგვიხბებს ამ წიგნში, ბოშერი, რომელიც ბრძოლებს ხელმძღვანელობდა ფლორისდორფში.

მახალბეი ხალხურ უთვალავი ნიმუშებია მიმოშემოქმედებულ ფანტული საქართველოს ყოველ კუთხეში...

რედაქტორი: კლატონ ქიძოქი რედაქციის მდივანი: ნიკოლოზ ჩაჩავა საარქივო კოლექციის წევრები: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი...